

ბიზნესის ადმინისტრირება



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

კრედიტების რაოდენობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ლევან ქისტაური, ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია

საკონტაქტო პირი: ნინო დამენია, ტელ.: 599 71 22 84

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსები არის სტანდარტული, ემყარება დასავლეთის უნივერსიტეტებში აპრობირებულ თემატიკას და სწავლების მიმართულებებს. ორიენტირებულია ბაკალავრიატის დონეზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე, რომლის განხორციელება შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული ბაკალავრის კომპეტენციებისა და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი და დამხმარე სასწავლო კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი სასწავლო კომპონენტი მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებული სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს, აგრეთვე სავალდებულო პრაქტიკასა და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში. დამხმარე სასწავლო კომპონენტი მოიცავს ბაკალავრის საქმიანობის ხელშეწყობი საუნივერსიტეტო სავალდებულო და თავისუფალ არჩევით სასწავლო კურსებს. საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები გამიზნულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე.

პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი (4 წელი).

პროგრამა მოიცავს: საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსს (42 კრედიტი), სპეციალობის 20 სავალდებულო კურსს (120 კრედიტი, მათ შორის 3 არჩევითი მოდული, თითოეული 30 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 6 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 6 კრედიტი), სპეციალობის 6 არჩევით კურსს (36 კრედიტი, რომლიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 18 კრედიტი). სავალდებულო კრედიტების დაგროვების შემდეგ, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს, კრედიტები 240-მდე შეავსოს დამატებით სპეციალობის არჩევითი კურსებით და თავისუფალი არჩევითი კურსებით ან აირჩიოს/გაიაროს დამატებითი (minor) სპეციალობა, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალადან.

პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ბაკალავრს, შეუძლია დასაქმდეს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბიზნეს-ორგანიზაციაში მისი კვალიფიკაციის შესაბამის თანამდებობაზე. ასევე სახელმწიფო მართვის ორგანოებში, აკადემიურ სფეროებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

დასაქმების სფეროებია საჯარო და კერძო დაწესებულებები, რომლებიც საკუთრი მისია-მიზნებიდან გამომდინარე ახორციელებენ ადმინისტრირებას შესაბამის სფეროებში მართვის, კონტროლის და ზედამხედველობის კუთხით, მონაწილეობენ და ქმნიან დაწესებულების მართვის პოლიტიკას. კურსდამთავრებულს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული კარიერა განავითაროს უფროსი სპეციალისტისათვის გათვალისწინებული თანამდებობებიდან საშუალო მმართველობის დონემდე და დაიკავოს მაღალი მმართველობის (დაწესებულების მენეჯმენტის) დონის ხელმძღვანელი თანამდებობა.

კურსდამთვრებულს შეუძლია, წარმატებით განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში.

1. მიზანი:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ადგილობრივი შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ბიზნესის მართვის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაჭრას, პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების მეშვეობით.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ ბიზნესში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების ანალიზის უნარი და შეეძლოთ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების მიზნით. აგრეთვე, მათ უნდა შეეძლოთ სხვადასხვა ბიზნეს ერთეულების საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანი მართვა და გაცნობიერებული ჰქონდეთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, ამ გზით წვლილი შეიტანონ დარგის და საზოგადოების განვითარებაში.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან ბიზნესის ადმინისტრირების თეორიულ საფუძვლებს, მიიღებენ აუცილებელ ცოდნას ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით, რომლებიც მოიცავს ბიზნესის ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს შესწავლას, კომპანიების საქმიანობის შედეგების დაგეგმვას, შეფასებასა და ანალიზს, ოპერაციებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურ მართვას, ეფექტურ მარკეტინგულ კომუნიკაციებსა და სხვ.

ამ მხრივ, აღნიშნული პროგრამა მოწოდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ჩამოყალიბოს მომავალ სპეციალისტებს საბაზისო წარმოდგენები ბიზნესის მართვაზე. კერძოდ, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინვესტიციებისა და პორტფელის მართვის, ფინანსური ანალიზის, აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის, საბანკო საქმის, ფინანსური რისკებისა და დაზღვევის, ადამიანისეული რესურსების მენეჯმენტის, ინოვაციებისა და მეწარმეობის, სტრატეგიული მენეჯმენტის, მომხმარებელთა ქცევისა და გაყიდვების მართვის, ციფრული მარკეტინგისა და ვებ ანალიზის და სხვა დისციპლინების შესწავლის საფუძველზე განუვითაროს მართვისა და ორგანიზების უნარი, გუნდური მუშაობის უნარი და ლიდერობის ის თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე.

ბაკალავრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კურსის გავლა, როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნეს-სუბიექტებში, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.

2. სწავლის შედეგები:

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლების შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების) მიღწევას, კერძოდ:

1. წარმართავს ბიზნესის საქმიანობას ეკონომიკის, ბიზნესის, ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ბუღალტრული აღრიცხვის და ადამიანური რესურსების მართვის ცოდნის საფუძველზე ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად;

2.1. *მენეჯმენტი: ორგანიზაციული ქცევის ცოდნის საფუძველზე მართავს სამუშაო ადგილს, მონაწილეობს დისტრიბუციის, ორგანიზაციის დაგეგმვასა და ოპერაციათა განხორციელებაში რისკების გათვალისწინებით.*

2.2. *მარკეტინგი: მარკეტინგული კვლევების ცოდნის საფუძველზე ავლენს ფირმის ბიზნეს საქმიანობის განვითარებისთვის მარკეტინგულ შესაძლებლობებს, მონაწილეობს გაყიდვების, ინტერნეტ-მარკეტინგის წარმოების, ბრენდის ფორმირებისა და ახალ ბაზრებზე გასვლის საქმიანობაში*

2.3. ფინანსები: წარმართავს ბიზნესის სტრუქტურული ერთეულის ფინანსურ საქმიანობას; ადგენს დაკრედიტებისა და დაფინანსების, ფინანსური რესურსების დაგეგმვისა და მართვის ეფექტიან გზებს ფინანსური რისკებისა და დაზღვევის გათვალისწინებით.

3. აყალიბებს ბიზნესის ადმინისტრირებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს წერილობითი და ვერბალური ფორმით ქართულ და უცხოურ ენებზე სპეციალისტებისთვის (და არასპეციალისტებისთვის) გასაცნობად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, ზოგადი და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

4. აფასებს, ანახლებს და აღრმავებს მიღებულ დარგობრივ ცოდნას დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე და იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი სწავლის გაგრძელებაზე.

5. აანალიზებს ფირმის საქმიანობას შედეგებს და აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს.

6. მონაწილეობს ბიზნესის სფეროში აუცილებელი ზოგადი და პროფესიული ღირებულების დამკვიდრებაში; პატივს სცემს კოლეგების შრომას და ადამიანურ ურთიერთობებში იცავს ეთიკურ ნორმებს.

შედეგები 2.1, 2.2 და 2.3 წარმოადგენს მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების მოდულების სწავლების შედეგებს.

3. შეფასების სისტემა:

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერიტი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ერთიანი ეროვნული გამოცდები. საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის წესი. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად.

მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ, კონკრეტული ვადები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სალექციო და სასემინარო მუშაობის მეთოდი. სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად, კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში ასათვისებელი საკითხების შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება შესატყვისი მეთოდები და აქტივობები, რაც დეტალურად განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით.

სწავლების პროცესის ორგანიზება მიზნად ისახავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის და უნარების მიღწევას. პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, ასევე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევის განხორციელების მეშვეობით, თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მიზნით პრაქტიკის ობიექტზე სამუშაო პროცესში მონაწილეობის მეშვეობით.

ლექციის დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება, პრობლემურ დონეზე განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება, პრაქტიკული აპლიკაცია.

სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოიყენება როგორც ვერბალური, ისე წერიტი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები; დავალებათა შესასრულებლად და საკითხების ვიზუალიზაციისათვის შემოქმედებითად გამოიყენება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წიგნზე მუშაობის მეთოდი; აგრეთვე ისეთი მეთოდები, როგორცაა: დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

პროგრამის განმახორციელებლები გამოიყენებენ ნებისმიერ სხვა მეთოდს ამა თუ იმ კონკრეტული სასწავლო ამოცანის შესასრულებლად. ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისა და მათი კომბინირების შედეგად სასწავლო პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა - უფრო აქტიური, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას - სტუდენტები დაეუფლებიან ინდივიდუალურ და გუნდურ მუშაობას; მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას; საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას და მოძიებული ინფორმაციის ანალიზს; დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბება-დასაბუთებას, ვერბალურ/წერიტ კომუნიკაციას, საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის რეალიზაციას, დასკვნების და მოსაზრებების არგუმენტირებულ დაცვას.

კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე, რაც დეტალურადაა აღწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.